აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 101

07 ნოემბერი 2008 წელი ქ. ბათუმი

არჩევნების პროცესში ვიდეოდაკვირვებისა და ჩაწერის საშუალებების – ე. წ. „ვიდეოთვალის“ განთავსების შესახებ

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის „შ“ ქვეპუნქტის, 63-ე მუხლის 13-ე პუნქტის, 64-ე მუხლის მე-3, მე-4 პუნქტებისა და მე-80 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნების 16 ნოემბრის განმეორებითი კენჭისყრისა და 14 დეკემბრის ხელახალი არჩევნების პროცესში ვიდეოდაკვირვებისა და ჩაწერის საშუალებები – ე. წ. „ვიდეოთვალი“ განთავსდეს №83 ხელვაჩაურის საოლქო საარჩევნო კომისიის ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქში შემავალ ყველა საარჩევნო უბნებზე არსებულ კენჭისყრის შენობებში (გარდა გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი იმ საარჩევნო უბნებისა, სადაც შესაბამისი სამართლებრივი აქტით ვიდეოდაკვირვება და ჩაწერა აკრძალული ან შეზღუდულია).

2. არჩევნების პროცესში ვიდეოდაკვირვებისა და ჩაწერის საშუალებები – ე. წ. „ვიდეოთვალი“ აგრეთვე განთავსდეს ტექნიკური შესაძლებლობების გათვალისწინებით №82 შუახევის საოლქო საარჩევნო კომისიის შუახევის საარჩევნო ოლქში შემავალ შუახევის ტერიტორიაზე შექმნილ №6, №7, №12, №13, №17, №43 და №48 საარჩევნო უბნებზე არსებულ კენჭისყრის შენობებში (გარდა

გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი იმ საარჩევნო უბნებისა, სადაც შესაბამისი სამართლებრივი აქტით ვიდეოდაკვირვება და ჩაწერა აკრძალული ან შეზღუდულია).

3. კენჭისყრის შენობაში დამონტაჟდეს ორი ვიდეოსამეთვალყურეო სისტემა, რომელთაგან ერთი გააკონტროლებს გამჭირვალე საარჩევნო ყუთში კონვერტების ჩაგდების პროცესს, ხოლო მეორე-სარეგისტრაციო მაგიდებს, ვიდეოსამეთვალყურეო სისტემა კენჭისყრის შენობაში უნდა განლაგდეს ისე, რომ არ დაირღვეს ხმის მიცემის ფარულობა.

4. კენჭისყრის შენობაში, სადაც განთავსებული იქნება ვიდეოსამეთვალყურეო სისტემა, კენჭისყრის შედეგების შეჯამების შემდეგ, ამ სისტემის მიერ გადაღებული მასალა გონივრულ ვადაში (ტექნიკური შესაძლებლობებიდან გამომდინარე) გადაეცეს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას, რომელიც ამ მასალას საარჩევნო ოლქში კენჭისყრის შედეგების შეჯამებისთანავე გადასცემს უსკოს.

5. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

6. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე ა. მიქელაძე

კომისიის მდივანი ქ. ჯიქია